

რეზიუმე

1. ყოველი მეცნიერი, რომელსაც ოდესმე სევანური ენა უკვლევია, გაოცებული დარჩენილა ამ ენის დიალექტური მრავალფეროვნებით. ცნობილია მრავალი თავისებურება, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ამ დიალექტებს, მაგალითად, კვეცა, კუმშვა, უძლაუტის, თანხმოვანთა ასიმილაციის, მეტათეზისის ნაირსახეობები.

ნაშრომში მოხმობილია სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული მაგალითები, რომელიც ასახავს ამ ფენომენს (იხ. 1.1). და მაინც, რჩება ბევრი საკითხი, რომელიც დღემდე არ არის ახსნილი. საქმე ეხება ძირითადად შემდეგ საკითხებს:

— რამდენად რეგულარულია ფონეტიკური შესატყვისობები დიალექტებს შორის?

— როგორ წარმოსდგება დიალექტებს შორის განსხვავება ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, კერძოდ:

ა) რელატიური ქრონოლოგიის თვალსაზრისით საკუთრივ სევანური ენის ფარგლებში?

ბ) მონათესავე ქართველურ ენებთან მიმართებაში?

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავ ამ საკითხს სევანური ფონების გ-ს მაგალითზე.

2. ცნობილია, რომ გ-ს წარმოშობის სხვადასხვა გზები არსებობს სევანურში.

2.1. სევანური ზმნის ლისენჯავი პარადიგმაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება ფორმები ფუძეში ი ან გ ხმოვნით. ამასთან, გ-ხმოვიანი ფორმები გვხვდება იქ, სადაც კუმშვა არის მოსალოდნელი. როგორც ჩანს, კუმშვისას სრულად კი არ დაიკარგა ხმოვანი, არამედ ანაპტიქტური გ ხმოვანი გაჩნდა მარცვლის ბოლოკიდური თანხმოვნის წინ. მაგრამ აღნიშნული წესი მხოლოდ ზემოსევანურში დასტურდება. ბასლქეძეძორში მხოლოდ გ-თი გახმოვანებული ძირი გვხვდება, რაც მეორეული პროცესი უნდა იყოს. აღნიშნული ფუძე ქართული სინჯ-ავ აწმყოს ფუძისაგან არის ნასესხები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძირისეული ი პირველადია.

2.2. სრულიად სხვა შემთხვევა გვაქვს სევანურ ზმნაში, რომელიც "ჩაკეტვა" მნიშვნელობით იხმარება. ტექსტებში დადასტურებული ფორმები შტექლება გაეაერთიანოთ ცვყან ძირის ქვეშ. ამის საპირისპიროდ ნიუარაძის ლექსიკონში ვხვდებით მასდარის ფორმებს ლიცყენე და ლიცყენაღი, რაც ძნულად შეიძლება დავუკავშიროთ წყყან-ს. ცვყან ძირის რეკონსტრუქცია დამაჯერებელი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ იგი ციყ ძირის კაუზატიური დერივატია. დგება საკითხი: ი/გ მონაცვლეობა ფუძეში აბლაუტით უნდა აეხსნათ თუ მეორეულია?

2.3. განსხვავებული წარმოშობის უნდა იყოს გ ხმოვანი ზედსართავ სახელში წგრნი — "წითელი". ტექსტებში დადასტურებული ფორმები გვიჩვენებენ, რომ ეს სიტყვა მიღებულია წგრანი-საგან. სავარაუდოა, რომ იგი სომხური წირანი-დან არის ნასესხები. თუ გავითვალისწინებთ, რომ სევანური *წგრნი ი ხმოვანზე ბოლოვდება, რომელიც არ იკვეცება, საკითხავია, საიდან გაჩნდა გ ხმოვანი ინლაუტში. ალბათ საქმე ეხება დეპლატალიზაციის პროცესს, რომელიც ა-ს მიერ არის გამოწვეული.

2.4. ბგერათა მსგავსი კონსტელაცია გვაქვს ჭიშხ ფუძის ფორმებში. დიალექტებში ვხვდებით ამ ფორმათა ვარიანტებს განზოგადების თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ, როგორც დერივაციული ჭეშნაშ "ფერხული" ფორმა ადასტურებს, ჭიშხ ისტორიულად ა-ზე ბოლოვდებოდა.

2.5. საინტერესოა, შეიძლებოდა თუ არა უსაგან მიგველო გ ხმოვანი ა-ს წინ. ამის შესაძლო მაგალითი არის ქართული სიტყვა უნაგირი, რომელიც სვანურში ჰუნგირ ფორმით დასტურდება, სადაც ფუძედ უნდა განვიხილოთ *ჰუნაგირ. მაგრამ ბალსზემოური ნათესაობითი ჰუნგირი ქმნის პრობლემას, რადგან იგი თითქოს ორმაგ კუმშვას გვიჩვენებს.

3. მაგალითები, რომელიც მე მოვიტანე, გვიჩვენებენ, რომ ბგერათცვლილებები სვანურში საჭიროა შეძლებისდაგვარად დიდი მოცულობის მასალაზე შემოწმდეს. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასალის კომპიუტერული დამუშავება.

3.1. არსებობს ორი წყარო, რომელიც ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ. პირველი წყარო გახლავთ ლექსიკონები.

3.1.1. ლექსიკონების კომპიუტერში შეტანა პრინციპში მარტივია, მაგრამ სვანური ენის ლექსიკონების შემთხვევაში დგება რამდენიმე სპეციალური პრობლემა. მაგალითად, უნდა გავითვალისწინოთ გრაფიკულად როგორ არის ჩაწერილი ლინგვისტური მასალა ძველ ლექსიკონებში. კომპიუტერულად მათი დამუშავებისათვის საჭიროა გრაფიკულად გაერთმინებულიანება ტრანსკრიფციის თვალსაზრისით.

3.1.2. შემდგომ დგას საკითხი, განსაკუთრებით ზმნურ ფორმათა შემთხვევაში, თუ რომელი ფორმები შევიტანოთ მონაცემთა ლექსიკონურ ბაზაში. მაგალითად, გუჯეჯიანი-პალმატიისის ლექსიკონი შეიცავს მრავალ ფლექსიურ ფორმას. ჩვენთვის გაუგებარი რჩება, რა პრინციპით იქნა შერჩეული ეს ფორმები.

3.1.3. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში სვანური ენის დიალექტები არ არის თანაბრად წარმოდგენილი. ამასთან, სვანური ენის დიალექტთა კომპიუტერული კვლევისათვის აუცილებელია შეიქმნას სვანური ენის მონაცემთა ბაზა, რომელშიც მოცემული იქნება:

- სიტყვათა სრული პარადიგმები,
- ამ ფორმათა დიალექტური ვარიანტები;

ვინაიდან დღემდე ღიად რჩება საკითხი, როგორ უნდა დაგვოთ დიალექტები კილოებად ბგერათცვლილებების გათვალისწინებით.

3.2. ზემოდასახელებული მონაცემთა ბაზის შესაქმნელად მეორე წყარო უნდა იყოს ტექსტური მასალის კომპიუტერიზაცია.

3.2.1. ტექსტის კომპიუტერში ავტომატიზირებული შეტანა გარკვეული საზღვრის ფარგლებში შესაძლებელია. თანამედროვე ტექნიკური საშუალებები იძლევა ამის შესაძლებლობას. ტექსტის სკანირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ნაბეჭდი ტექსტის ხარისხზე. ამასთან, ყველა შემთხვევაში აუცილებელია ტექსტის ხელით კორექტირება.

3.2.2. იმისათვის, რომ ტექსტის კომპიუტერული ანალიზი გამარტივდეს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა — მისი სტრუქტურირება, შემდგომ კი მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლების შეტანა ინდექსირებისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ყველა მონაცემის გაერთიანება მონაცემთა ბაზაში.

3.2.3. მონაცემთა ბაზის შექმნის შემდეგ ჩვენი მიზანია დიალექტებს შორის არსებული მხედობები ბგერათცვლილებების თვალსაზრისით პროგრამული საშუალებებით ვიკვლიოთ. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მრავალწლიანი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.